ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N567

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია: 7 ნოემბერი 2013 წ.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების" საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებითი და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

„შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში - „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვებს.

„მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

„ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის:

„დღე" „კვირა" „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, თვეს, კვირას თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ, დუშეთის მუნიციპალიტეტი, რომლის რეკვიზიტებია: მისამართი - ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. N27, ს/კ 229324451, მომსახურე ბანკი - „ლიბერთი ბანკის" დუშეთის ფილიალი, ბ/კ LBRTGE22, ა/ა GE74LB0120137474229000 – (შემდგომში - „შემსყიდველი")

(შემსყიდველის დასახელება და რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ: შპს „სტ ოილს" შორის რომლის რეკვიზიტებია: მისამართი - ქ. თბილისი, კანდელაკის ქუჩა №1, ს/კ 205169538, მომსახურე ბანკი - „ლიბერთი ბანკის" მცხეთის ფილიალი, ბ/კ LBRTGE22, ა/ა GE76LB0113171202103000- (შემდგომში - „მიმწოდებელი")

(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: CPV-09100000/ 09134210, დუშეთის მუნიციპალიტეტის გუდამაყრის, ბარისახოს, ქცეშეთის, ჟინვალისა და მჭადიჯვრის ტერიტორიულ ორგანოებში მოსახლეობის ტყეკაფებში მიმოსვლის უზრუნველსაყოფად მისასვლელი გზების გასაკეთებლად ტრანსპორტისათვის 1630 ლიტრი სადიზელო საწვავის შესყიდვა (ტალონური სისტემით), გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 შესასყიდი საქონლის ღირებულება შეადგენს: 3178.50 **(სამიათასასსამოცდათვრამეტი ლარი და 50 თეთრი) ლარს,** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

ა) მისაწოდებელი საქონლის ერთეულის ფასი შეადგენს: ბენზინი – 1:95 ლარი.

ბ) საქონელი მიწოდებული იქნება შემდეგ მისამართზე:

დუშეთის მუნიციპალიტეტი სოფ. არაგვისპირი.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების პირობების დაცვით განახორციელოს საქონლის მიწოდება. იგი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე, დროულობაზე.

5.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მიწოდებული საქონლის ღირებულება.

5.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებაზე.

5.5 მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებაზე.

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური.

8. მიწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი არ იქნება დაზიანებული და იქნება მოხმარებისათვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს დაზიანებული და უვარგისი საქონლის შეცვლა, გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2 ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმებიდან 3 საბანკო დღის განმავლობაში.

9.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მეოთხე პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი საქონლის ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

10.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა, ხელშეკრულების მთელი მოქმედების განმავლობაში, დასაშვებია საცალო ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

10.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების სეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარმოუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელსეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობა.

13. სუბ-კონტრაქტორები

13.1 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტორების დადების ან სუბ-კონტრაქტორების შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტორების ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დამოკიდებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდამიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

15.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

15.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

15.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს, მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.

16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

16.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

17. დავების გადაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზე, რომ ყველა ღონეს იხმარენ რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

17.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

18. სხვა პირობები

18.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

18.2. ხელშეკრულების მიწოდების ვადაა – 2013 წლის 11 ნოემბრის ჩათვლით.

18.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი ორგანიზაცია:

დუშეთის მუნიციპალიტეტი,
საკრებულოს თავმჯდომარე: /ც.სამადლიშვილი/

მიმწოდებელი:

შპს „სტ ოილი," დირექტორი: /თ. მირესაშვილი/

საქართველო
GEORGIA
დუშეთის მუნიციპალიტეტის
Administration of Dusheti
გამგეობა
Municipality
1800 ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. №27
☎: (0-346) 22-19-90, 22-19-89

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება N 511

6 ნოემბერი 2013 წელი

ქ. დუშეთი

ტყეკაფებში მისასვლელი გზების გასაკეთებლად საჭირო სადიზელო საწვავის შესაძენად დუშეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო" ქვეპუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ტყეკაფებში მოსახლეობის შეუფერხებლად მიმოსვლის უზრუნველსაყოფად მისასვლელი გზების გასაკეთებლად საჭირო 1630 ლიტრი სადიზელო საწვავის შესაძენად დუშეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყოს 3178,50 ლარი. აქედან:

ა) გუდამაყრის თემს - 195 (ას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარი, 100 (ასი) ლიტრი სადიზლო საწვავის შესაძენად;

ბ) ბარისახოს თემს - 780 (შვიდას ოთხმოცი) ლარი, 400 (ოთხასი) ლიტრი სადიზელო საწვავის შესაძენად;

გ) ქვეშეთის თემს - 1560 (ერთი ათას ხუთას სამოცი) ლარი, 800 (რვაასი) ლიტრი სადიზელო საწვავის შესაძენად;

დ) ჟინვალის თემს - 351 ლარი (სამას ორმოცდათერთმეტი) ლარი, 180 (ას ოთხმოცი) ლიტრი სადიზელო საწვავის შესაძენად.

ე) მჭადიჯვრის თემს - 292,50 (ორას ოთხმოცდათორმეტი და ორმოცდაათი) ლარი, 150 (ას ორმოცდაათი) ლიტრი სადიზელო საწვავის შესაძენად.

2. საწვავის ხარჯვაზე და დოკუმენტაციის წარმოდგენაზე პასუხისმგებლობა დაეკისროთ, დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელებს - გუდამაყარში, ბარისახოში, ქვეშეთში, ჟინვალში, მჭადიჯვარში შესაბამისად: ამირან ნიკლაურს, მზექალა არაბულს, ზურაბ ბურდულს, ზაზა უნდილაშვილს, ალექსანდრე ძლიერიშვილს.

3. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურმა (ლ. შარაშიძე) უზრუნველყოს სათანადო ხელშეკრულების მომზადება.

4. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (დ. შაბურიშვილი) უზრუნველყოს თანხის გადარიცხვა და ამ თანხის დუშეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის დროს გათვალისწინება.

5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი /ვ. ჩოხელი/

მჭადიჯვრის თემი
წიწამური – გრემისხევის მონაკვეთზე ტყეკაფისკენ
მიმავალი სამანქანე გზის რეაბილიტაცია

31.10.2013 წ.

N	ადგილმდებარეობა (მონაკვეთი)	დაზიანებათა აღწერილობა	შესასრულებელი სამუშაოები	განზ. ერთ.	რაოდე-ნობა
1	მჭადიჯვრის თემი. ტყეკაფისკენ მიმავალი საავტომობილო გზა	სამანქანე გზები დახრამულია გზაზე გამომავალი ხევების ზემოქმედების შედეგად	გზის 500,0 მ. მონაკვეთის გაწმენდა-გასწორება ექსკავატორით, გამომუშავებული ქანების ორივე გვერდზე გადაადგილებით	კვ.მ. კუბ.მ.	2000,0 380,0

საწვავის მოთხოვნილი რაოდენობა შეესაბამება შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობას.

შემსრულებელი _____ /ი.ბაპიაშვილი/

გუდამაყრის თემი
ტყეკაფში მისასვლელი სამანქანე გზის მოწყობა

(საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვა)

N	შესასრულებელი სამუშაოები	განზ. ერთ.	რაოდენ.		ღირებულება	
			განზ. ერთ-ზე	საპრ. მონაც.	განზ. ერთ-ზე	სულ
1	2	3	4	5	6	7
1	ტყეკაფში მისასვლელი გზის გაჭრა ბულდოზერით, მოსწორება-მოშანდაკება	1000 კუბ.მ.		0,223		227,50
	ბულდოზერი (130 ცხ.ძ.)	მანქ.სთ.	28.0	6,25	36,40	227,50
					სულ:	227,50
					სულ დანარიცხებით:	332,00

დიზელის საწვავის ოდენობა ტექნიკის ტრანსპორტირების გარეშე – 100,00 ლიტრი

შემსრულებელი: /ი. პაპიაშვილი/

ქვეშეთის თემი
ტყეკაფში მისასვლელი საავტომობილო გზის გაჭრა
(საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვა)

N	შესასრულებელი სამუშაოები	განზ. ერთ.	რაოდენ.		ღირებულება	
			განზ. ერთ-ზე	საპრ. მონაც.	განზ. ერთ-ზე	სულ
1	2	3	4	5	6	7
1	ტყეკაფში მისასვლელი გზის გაჭრა ბულდოზერით, მოსწორება-მოშანდაკება	1000 კუბ.მ.		1,785		1819,30
	ბულდოზერი (130 ცხ.ძ.)	მანქ.სთ.	28,0	49,98	36,40	1819,30
					სულ:	1819,30
					სულ დანარიცხებით:	2656,00

დიზელის საწვავის ოდენობა ტექნიკის ტრანსპორტირების გარეშე – 800,00 ლიტრი

შემსრულებელი: /ი. პაპიაშვილი/

ბარისახოს თემი
ტყეკაფში მისასვლელი გზის გაჭრა
(საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვა)

N	შესასრულებელი სამუშაოები	განზ. ერთ.		რაოდენ.	ღირებულება	
			განზ. ერთ–ზე	საპრ. მონაც.	განზ. ერთ–ზე	სულ
1	2	3	4	5	6	7
1	ტყეკაფში მისასვლელი გზის გაჭრა ბულდოზერით, მოსწორება–მოშანდაკება	1000 კუბ.მ.		0,900		917,30
	ბულდოზერი (130 ცხ.ძ.)	მანქ.სთ.	28,0	25,2	36,40	917,30
					სულ:	917,30
					სულ დანარიცხებით:	1340,00

დიზელის საწვავის ოდენობა ტექნიკის ტრანსპორტირების გარეშე – 400,00 ლიტრი

შემსრულებელი: /ი. პაპიაშვილი/